



ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება:ბ88.88220605  
თარიღი:01/03/2022

**ყვარლის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე მუხლის 3-ე პუნქტის თანახმად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

**1. დამტკიცდეს:**

ა) ყვარლის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი დანართი 1 - ის შესაბამისად;

ბ) 2022 - 2023 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი დანართი 2 - ის შესაბამისად;

გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი განაცხადის ფორმები 3 და 6 - ე დანართების შესაბამისად.

2. დაევალოს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელს ნათელა სეფაშვილს ერთი თვის ვადაში შეადგინოს:

ა) საბიუჯეტო კალენდართან (დანართი 2) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;

ბ) კითხვარი მოქალაქეთა გამოკითხვისთვის (რისთვისაც შესაძლებელია მოწვეული იქნეს ექსპერტი);

გ) ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების უზრუნველსაყოფად;

დ) რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;

ე) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები 7 და 8 დანართის შესაბამისად.

3.საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით

სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

4.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გურჯაანის რაიონულ სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მის: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. #24).

გივი ზაუტაშვილი

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

